პროექტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 მარტის N58 ბრძანებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილი იქნას ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 მარტის N58 ბრძანებაში _ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9	**სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური**	**10**

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 მარტის N58 ბრძანებით _ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებული დანართის მე-9 პუნქტის მე-9.6. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9.6	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი - სპეციალისტი მიწერისა და კორესპოდენციებზე მუშაობის საკითხებში	2

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი ლ. მეგრელიშვილი

ვიზირებულია,

იურიდიული სამსახურის უფროსის

დროებით მოვალეობის შემსრულებელი მ. ბერაძე